

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ანგარიში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5 283,7	4 932,6	93,4
01 01	ოზურგეთის საკრებულო	1 150,0	1 062,5	92,4
01 02	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია	3 440,0	3 308,0	96,2
01 03	სარეზერვო ფონდი	350,0	255,5	73,0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	200,7	174,6	87,0
01 05	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	143,0	132,0	92,3

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	20 867,2	17 057,6	81,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	301,0	125,4	41,7
02 01 01	გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა	210,0	34,4	16,4
02 01 02	მუნიციპალური ტრანსპორტი	91,0	91,0	100,0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14 871,6	12 909,7	86,8
02 02 01	ინფრასტრუქტურის სამუშაოები	13 099,6	11 111,4	84,8
02 02 02	ელექტროენერგიის ხარჯი	1 072,0	1 098,2	102,4
02 02 03	წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	700,0	700,0	100,0
02 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2 474,9	2 082,9	84,2
02 04	საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა	890,0	813,8	91,4
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	500,0	287,9	57,6
02 07	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1 651,7	625,3	37,9
02 08	ბინათმშენებლობა	178,0	212,7	119,5

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა (020101)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სავალი ნაწილის, ტროტუარებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება და სანიაღვრე არხების გაწმენდა. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5000 კვ.მ -დე შიდა მნიშვნელობის გზაზე განხორციელდა მოხრეშვითი და ორმული შეკეთების სამუშაოები.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა		მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ორმოულად შეკეთებული გზების ფართობი	3500	4900	4800	2%	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			მუნიციპალური ტრანსპორტი (020102)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			ავტოტრანსპორტით მომხმარებელთათვის რეგულირებადი ტარიფის შენარჩუნება, პედაგოგების უფასოდ. შემდეგი სოფლის მარშრუტებზე: ლიხაური, ჯუმათი, შემოქმედი, ვაკიჯვარი, ასკანა . ქ. ოზურგეთიდან დაბა ლაითურისა და დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში პედაგოგების გადაყვანა და დღის მეორე ნახევარში ქ. ოზურგეთში დაბრუნება. 1. ოზურგეთი-სოფ.შემოქმედი - 9 რეისი დღეში 2. ოზურგეთი-სოფ.ვაკიჯვარი - 4 რეისი დღეში 3. ოზურგეთი-სოფ.ლიხაური - 6 რეისი დღეში 4. ოზურგეთი-დაბა ლაითური - 2 რეისი დღეში (სამუშაო დღეებში) 5. ოზურგეთი-დაბა ნარუჯა - 1 რეისი დღეში (სამუშაო დღეებში) 6. ოზურგეთი-ასკანა - 3 რეისი დღეში 7. ოზურგეთი -ჯუმათი - 2 რეისი დღეში მოეწყო ავტო გარაჟი, სადაც განთავსდება ორგანიზაციის ტექნიკა, დამატებით მოხდა 1 ტექნიკური პერსონალის (შემდუღებელი) და 2 დარაჯის დასაქმება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მუნიციპალიტეტის 2 დაბაში და 5 სოფელში შ.პ.ს. მუნიციპალური ტრანსპორტი მოემსახურება სკოლის პედაგოგებს და უზრუნველყოფს მათ უფასო ტრანსპორტირებას მთელი წლის განმავლობაში	მიღწეული შედეგი	შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“ მოემსახურა ხუთ სოფელს (ლიხაური, შემოქმედი, ვაკიჯვარი, ასკანა) მგზავრთა გადაყვანას დაბალი ტარიფებით. ასევე მოემსახურა(ლაითური, ნარუჯა, მთისპირი) საჯარო სკოლის პედაგოგების გადაყვანას.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
მგზავრთა რაოდენობა	16000	18000	15000	17%	
					მგზავრობის შედარებით დაბალი აქტივობა გამოწვეული პანდემიით.

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			ინფრასტრუქტურის სამუშაოები (020201)		
ქვეპროგრამის/დონისძიების განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის, გრანტებითა და საკუთარი სახსრებით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით. 2021 წლის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელდა და ხორციელდება 9 621 435 ლარის სამუშაოები: სენაკი-ფოთი-სარგის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან ეკალიდო-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (6032მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 2 358 999 ლარი მ/შ 2021 წელს 467979 ლარი); ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების (კიტა მეგრელაძის ქუჩის შესახვევების, კოსტავას ქუჩის შესახვევის და ძმები ერქომაიშვილების ქუჩა) რეაბილიტაცა (2341 მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 508994,75 ლარი); სოფელ კონჭკათში (კატისციხის უბანი) ცენტრალური გზიდან მთავარანგელოზის სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობა სამუშაოები (1710 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 473998,85 ლარი); სოფელ მელექედურში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (876 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 307994,84 ლარი); სოფ. ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები (1195 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 390 329 ლარი); დასრულდება სოფელ ძიმითში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (2408 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 748 998,2 ლარი); ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩის (ბესიკის პირველი შესახვევის-705 გრძ.მ) რეაბილიტაცია (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 267223 ლარი); სოფელ მაკვანეთში ჭალის უბნის გზის რეაბილიტაცია (1745 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 678606 ლარი); სოფელ გურიანთაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (1813 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 512438,86 ლარი); დაბა ნასაკირალში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (2960 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 760672,63 ლარი); სოფელ დვამბაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (1390 გრძ.მ) - ღირებულებით 209605,75 ლარი და სოფელ ბოხვაურში (ვატულოს უბნის) გზის რეაბილიტაცია (822 გრძ.მ)		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, რეაბიტილიტირებული სანიაღვრე სისტემა		მიღწეული შედეგი	15 ახალ ლოკაციაზე რეაბილიტირებულ იქნა საგზაო ინფრასტრუქტურა (ქ.ოზურგეთი, შრომა, კონჭკათი, ხვარბეთი, ლიხაური, გურიანთა, ნასაკირალი, ბოხვაური, დვამბა და სხვა.)
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
პროექტების რაოდენობა	20	25	30	120%	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			ელექტროენერგიის ხარჯი (020202)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ამ ხარჯებში აგრეთვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის და გარე განათების ხარჯების დაფარვა. 14000-სზე მეტი გარე განათების სანათი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 1100000 ლარამდე თანხა დაიხარჯა ელექტროენერგიის გადასახადი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა		მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის მუშაობა და შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გარემო
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
	60	70	70	0%	

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (020203)		
ქვეპროგრამის/დონისძიების განმახორციელებელი			შპს „სატისი“		
ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი			წყალმომარეგების გაუმჯობესება, წერტილოვანი დაზიანებების დროული აღმოფხვრა, აბონენტების მომსახურება 24 საათიანი გრაფიკით; მთისპირი-ასკანის წყალმომარაგების სისტემები ემსახურება 740 აბონენტს, ნასაკირალის- 800 აბონენტს,ჯუმათი-420 აბონენტს, ნატანების- 200 აბონენტს, ლაითური- 1000 აბონენტს. წლის განმავლობაში სოფ,ნატანებში, ნაღობილევეში გაკეთდა არტეზიული ჭები. შ.პ.ს.სატისი 3200-დე აბონენტს მოემსახურა. პერიოდულად ხდება ქსელის შეკეთება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და განვითარება		მიღწეული შედეგი	ტექნიკურად გამართულია წყალმომარაგების სისტემა და უზრუნველყოფილია არსებული სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და განვითარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
აბონენტთა რაოდენობა	2500	3160	3160	0%	

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (0203)		
პროგრამის განმახორციელებელი			1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური, 2, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი			1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს გამოეყო 1 086 000 ლარი. რაც შემდგომ მუნიციპალიტეტის მხრიდან გაზრდილი იქნა 100%-ით. • მოსახლეობის მიერ დასმული პრიორიტეტების შესაბამისად დაიგეგმა 112 მცირე და საშუალო სიდიდის ობიექტის მოწყობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ დროისათვის დასრულებულია 98 პროექტი, ხოლო 8 დასრულების ეტაპზეა. 2. 2021 წელს მოეწყო ჩაის სადედე პლანტაცია, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად მოხდეს ახალი ნერგების გამოყვანა. 3. გაეროს განვითარების პროგრამის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ოზურგეთში, წვერმადალას პარკში ჩატარდა აგრო-ტურისტული ფესტივალი “ჩაის გზა”.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; აგრობიზნესით დაინტერესებული პირების შემოსავლის ზრდა	მიღწეული შედეგი		მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა; აგრობიზნესით დაინტერესებული პირების შემოსავლის ზრდა
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ბენეფიციართა რაოდენობა	35000	50000	45000	10%	
ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	10	20	15	25	პანდემიის გამო ვერ მოხდა ყველა ღონისძიების ჩატარება

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზა (0204)		
პროგრამის განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი			საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესახებ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-საძიებო სამუშაოების ჩატარება; პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გენ-გეგმის მომზადება, გეოინფორმაციული მოდელის მომზადება. 2021 წლის განმავლობაში დაპროექტდა 80-დე ობიექტი, ქალაქის განაშენიანების გეგმისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრმა მონაცემთა ბაზის 30%-დე შესრულება შეძლო.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტების მაღალი ხარისხი; სამშენებლო ნორმებისა და ტექნიკური პირობების შესრულების კონტროლი; დაპროექტებული ობიექტები	მიღწეული შედეგი		უზრუნველყოფილია შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტების მაღალი ხარისხი და სამშენებლო ნორმებისა და ტექნიკური პირობების შესრულების კონტროლი
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
პროექტების რაოდენობა	60	70	70-80	0%	

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			კეთილმოწყობის ღონისძიებები (0205)		
პროგრამის განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი			მნიშვნელოვანი და აუცილებელია კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტის „ იყავი თანამმართველი“-ს განხორციელება, ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად შეირჩა შემდეგი სამუშაოები: პანორამა ოზურგეთი ანუ ოზურგეთის დაკიდული ბაღები; იპოვნე ჩემი სახლი; სპორტული მოედანი ანასეულში; გასართობი სივრცე ანასეულში; ბავშვთა გასართობი სივრცე მაღაზონიას ქუჩაზე; თენიეშვილის სკვერი; ფილიმონ ქორიძის ბიუსტის შემოღობვა; გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კეთილმოწყობა; იადვეგა შეფერის ბიუსტი სამუსიკო სკოლასთან; ჭადრაკის დაფა ჭადრაკის ბაღში; განხორციელდა 2, დანარჩენი 8 პროექტი განხორციელებდა 2022 წელს, საჭიროა კონსულტაციები		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის მოწყობა; ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი დასვენებისა და გართობის გარემოს შექმნა;	მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისთვის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მოწესრიგებულია სივრცეები	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
პროექტების რაოდენობა	5	10	2	80%	
რამდენიმე ობიექტი გეოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე დაპროექტდა გამოყოფილზე მეტი თანხით (თანხა პროგრამაში სულ 300000 ლარია). საჭიროა კონსულტაციები განმცხადებლებთან					

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			ბინათმშენებლობა (0206)		
პროგრამის განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი			პროგრამა ითვალისწინებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების გადახურვა, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების მოწესრიგება, შიდა წყალკანალიზაციის სისტემების შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები. 2021 წელს განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: 1. ანასეულში მეცნიერების ქუჩა N14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2. უნივერსიტეტის ქუჩა N12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 3. კოსტავას ქუჩა N4-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაზიანებული ლიფტის აღდგენის სამუშაოები, 4. ფარნავაზ მეფის ქუჩა N127-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაზიანებული ლიფტის აღდგენის სამუშაოები		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, კეთილმოწყობილი ეზო	მიღწეული შედეგი		უზრუნველყოფილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
მრავალბინიანი სახლების რაოდენობა, სადაც რეაბილიტაცია მოხდა	2	2	2	0%	

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (0207)		
პროგრამის განმახორციელებელი			ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი			პროგრამა ითვალისწინებს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციულ ღონისძიებებს. სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეების სამშენებლო მასალით უზრუნველყოფას. მიმდინარეობს სოფელ ვაკიჯვარში, მდ. ნატანებზე ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 1010052.41 ლარი); 67 დაზარალებულ ოჯახს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით ჯამურად 211323 ლარის ოდენობით		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		სტიქიის შედეგების აღმოფხვრა, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება		მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების	0	0	67		

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 960,0	2 954,0	99,8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 340,0	1 335,7	99,7
03 02	კომუნალური მომსახურება	1 620,0	1 618,3	99,9

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			დასუფთავება,კომუნალური მომსახურება (0301)		
პროგრამის განმახორციელებელი			ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი			მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსამედო სასაზოგადოებო მომსახურების უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ზღვისპირა საკურორტო ზოლში სასაზოგადოებო მომსახურების უზრუნველყოფის და გაუმჯობესების, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, დამსვენებელთა და ტურისტთა მაქსიმალურად მოზიდვის მიზნით. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.		
			გაგრძელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმის პროცესი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მის შემოგარენში გამწვანების სამუშაოების ჩატარება, ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა. მცენარეთა შესყიდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით.დღეს არსებული სიტუაციით სულ ქალაქში სუფთავდება 238400 კვმ ფართობი.		
			მოხდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა,მაწანწალა ძაღლების დაჭერა სამედიცინო სამუშაოების ჩატარება და მისი ადგილზე დაბრუნება;ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.ქალაქის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება-სანიაღვრე არხების გაწმენდა დასუფთავება,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანათი მოწყობილობების შეცვლა ახლით.ეკო ნათურების ჩანაცვლება დიოდური ნათურებით .ოზურგეთის მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფს ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების „ქალაქის ტერიტორიის გამწვანების,გარე განათების , სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოების გაფართოებას და ხარისხიან ჩატარებას,რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქალაქის კეთილმოწყობას და გალამაზებას.		
			ხარჯების ზრდა გამოწვეულია 2 ერთეული ტრაქტორის (JSP) და 2 ერთეული „კამაზი“-ს მარკის თვითმცლელის შეძენისა და მოვლა შენახვის ხარჯების ზრდასთან; ზღვისპირეთის ზოლში სეზონურად მომუშავეთა რაოდენობისა და მომსახურების პერიოდის 4-დან 5 თვემდე გაზრდის. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტიდან გასატანი ნარჩენების მოცულობა შეადგენს 11 500 ტონას; დასასუფთავებელი ტერიტორიის ფართობი სულ 43 კვ. კმ-ია, აქედან ქალაქ ოზურგეთის ტერიტორია 320 კვ. კმ-ია, ხოლო ზღვისპირა ზოლი, სოფლის სასაფლაოები და სკვერები 110 კვ. კმ.; გასამწვანებელი ტერიტორიის ფართობი დაახლოებით შეადგენს 2500 კვ. მეტრს (550 ძირი X 1,5 X 3,0); მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება დაგეგმილია გრანტით ერთი ერთეული ნაგავმზიდი და 20 ერთეული ურნა. ასევე დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, თანადაფინანსებით ურნების შეძენა. მათი რაოდენობა დამოკიდებულია ჩვენი თანადაფინანსების წილზე; ყოველდღიურად ხდება, როგორც ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული 30 ქუჩის, 6 მოედნის, 3 ბადის და 4 სკვერის, მოცულობით 248690 მ2 ფართობი. ასევე პერიოდულად ხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრების ცენტრალური მოედნებისა და არსებული სკვერების დაგვა დასუფთავება მოცულობით 71310 მ2, საერთო მოცულობით 347680 მ2 ფართობი. ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება სანაგვე ურნების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო სოფლებში ყოველ მესამე დღეს.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება	მიღწეული შედეგი	შექმნილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	54%	60%	60%	0%	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			დასუფთავება (030101)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; ურეკი-შეკვეთილის სანაპირო ზოლის დასუფთავება; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დღეს არსებული სიტუაციით სულ ქალაქში სუფთავდება 238400 კვმ ფართობი. ნაგავსაყრელზე 2021 წლის განმავლობაში შეტანილი იქნა 1970 რეისი.14908,95 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი. აღდგენილი იქნა დაზიანებული 70 ცალი 1.1 მ3-ნი სანაგვე ურნა, დამატებით განთავსდა 400ცალი 1.1 მ3-ნი სანაგვე ურნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები ნარჩენების გატანა, კმაყოფილი მოსახლეობა	მიღწეული შედეგი		უზრუნველყოფილია ქალაქის რეგულარული დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
დასუფთავებული ტერიტორიის წილი	55%	65%	65%	0%	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			კომუნალური მომსახურება (030102)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის განაშენიანება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, მაწანწალა ძაღლების დაჭერა სამედიცინო სამუშაოების ჩატარება და მისი ადგილზე დაბრუნება; ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. ქალაქის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანათი მოწყობილობების შეცვლა ახლით ეკონათურების ჩანაცვლება დიოდური ნათურებით .ოზურგეთის მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფს ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების, ქალაქის ტერიტორიის გამწვანების, გარე განათების , სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოების გაფართოებას და ხარისხიან ჩატარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქალაქის კეთილმოწყობას და გალამაზებას. გარე განათების განყოფილება ემსახურება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სოფლის 401 მრიცხველს-10500 ერთეული სანათი მოწყობილობა და ქალაქის 137 მრიცხველი-3200 სანათი მოწყობილობით. მოჭრილი იქნა ამორტიზირებული და ძლიერი ქარისგან დაზიანებული ხე-მცენარეები -147 ძირი, მოცულობით 208 მ3 დამუშავებული იქნა საშემე მერქნად შესაბამისი წესების და ნორმების დაცვით და დაურიგდა სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს. დაჭერილი და ძაღლების თავშესაფარში გადაყვანილი იქნა 529 მაწანწალა ძაღლი. აქედან 285 სულს ჩაუტარდა კასტრაცია, 244 სულს სტერილიზაცია. ყველა მათგანს ჩაუტარდა დაავადებებზე შესაბამისი აცრები და დეჰემილიზაცია ყურის კლიპის მეშვეობით, ცოფზე აიცრა 200 სული ძაღლი. პერიოდულად იცელება 137 მუნიციპალური სასაფლაო.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, კმაყოფილი მოსახლეობა	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების ხარისხიანი მიწოდება	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	54%	60%	60%	0%	

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
04 00	განათლება	5 861,2	5 347,1	91,2
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	4 500,0	4 340,7	96,5
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1 361,2	1 006,4	73,9

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			სკოლამდელი განათლების დაფინანსება (040101)	
ქვეპროგრამის/დონისძიების განმახორციელებელი			ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	
ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის, სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 44 საბავშვო ბაღი 2405 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 844 თანამშრომელი, მათ შორის 87 მამაკაცი და 757 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. 2021 წლის დასაწყისში სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ ყველა საბავშვო ბაღი მომარაგდა პანდემიის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად. ყველა ბაღს გადაეცა სადუზინფექციო საშუალებები, დისტანციური თერმომეტრები, დეზობარიერები, ბაზილები, ხალათები, დისპენსერები. ბაღებში მოეწყო საიზოლაციო ოთახები, შემუშავდა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო	მიღწეული შედეგი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 2021 წლის განმავლობაში დარეგისტრირებული იყო 2343 აღსაზრდელი პანდემიის გამო გამოცხადების მაქსიმალური ოდენობა არ აჭარბებდა 60%-ს.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	
			განმარტება	
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
აღსაზრდელთა რაოდენობა	2405	2404	2343	3%

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			ზოგადი განათლების ხელშეწყობა (040201)		
ქვეპროგრამის/დონისძიების განმახორციელებელი			განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი, ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან წახალისება; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მფლობელი მოსწავლე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსდება 1000 (ათასი) ლარით (თითოეულ წარმატებულ მოსწავლეს) სკოლის კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელება (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეების და ა(ა)იპ-ების ჩართულობა დონისძიებებში, წარმატებული მოსწავლეებისა და პედაგოგების გამოვლენა-წახალისება, სოციალურად დაუცველი ბავშვების აქტიური ჩართულობა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა. ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს გაუწიოს ერთჯერადი დახმარება ფულადი ფორმით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების წლის საუკეთესო თანამშრომლების დაჯილდოებას. ჩატარდა 12 დონისძიება და აქტივობა, გრანტი მიიღო 7-მა მოსწავლემ და 7-მა სკოლამ. 12 ძალადობის მსხვერპლს გაეწია ფულადი დახმარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ჩატარებული დონისძიებების და აქტივობები	მიღწეული შედეგი	ჩატარებულია სხვადასხვა დონისძიებები, დაფინანსებული არიან სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები; უზრუნველყოფილია ძალადობის მსხვერპლთა ფულადი მხარდაჭერა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ჩატარებული დონისძიებების რაოდენობა	10	20	12	40%	

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	5 021,0	4 725,3	94,1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 165,0	2 122,6	98,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	38,6	25,8	66,7
05 01 02	სპორტული ობიექტების დაფინანსება	2 126,4	2 096,8	98,6
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 656,0	2 500,0	94,1
05 02 01	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	71,4	47,9	67,1
05 02 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	2 584,6	2 452,1	94,9
05 03	ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	30,0	0,4	1,2
05 04	ახალგაზრდული პროგრამები	70,0	2,4	3,5
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	100,0	100,0

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (050101)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გადრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. 2021 წელს სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1500-მდე პირმა. სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის მუხლიდან, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში, იმართებოდა სხვადასხვა საპორტული ღონისძიებები ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით, რისთვისაც შეძენილი იქნა 1890 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის მუხლიდან, საქართველოს მასშტაბით გამართულ სპორტულ ღონისძიებებში, მონაწილეობისათვის სპორტსმენების ტრანსპორტირება საერთო ხარჯი შეადგენს 6402 ლარს. 2021 წელს მოხდა საერთაშორისო ტურნირებზე გამოვლენილი, გამარჯვებული წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემა, გაცემული ფულადი ჯილდოს რაოდენობამ შეადგინა 10425 ლარი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		სპორტულ აქტივობებში ჩართულობა	მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობისთვის	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
სპორტულ აქტივობების მონაწილეთა რაოდენობა	2000	3000	1500	50%	მიმდინარე წელს, სამწუხაროდ, COVID-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, ვერ მოხერხდა წლის გეგმით გათვალისწინებული და ასევე შემზვედრი ღონისძიებების სრულად განხორციელება, სამუშაო შეხვედრების დიდი ნაწილი გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (050102)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება, შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი;		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში პროექტების დაგეგმვა და მისი რეალიზება; 2021 წელს 1600-მდე მოზარდი და ახალგაზრდა ჩაერთო სპორტულ ცხოვრებაში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დიდი ხანია არსებობს ა.(ი).ი.პ. საჭადრაკო კლუბი „გურია“, რომელიც ერთდერითი საჭადრაკო კლუბია, კლუბში გაერთიანებული არიან როგორც მოყვარული ასევე თანრიგის მქონე მოჭადრაკეები, მათ შორის 8 ოსტატობის კანდიდატი, 38 პირველ თანრიგოსანი, რომლებსაც სხვადასხვა წლებში გააჩნიათ მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორც ქვეყნის ჩემპიონატებში ასევე საერთაშორისო ტურნირებში. კლუბს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება როგორც ადგილობრივი ასევე რესპუბლიკური ტურნირების ორგანიზებაში. საჭადრაკო კლუბის მიმდინარე წლის 2021 წლის გეგმა კალენდარი, პანდემიიდან გამომდინარე ოპტიმიზირებული არის და იგი მოიცავს მხოლოდ აუცილებელ და ტრადიციულ ღონისძიებებს და აქტივობებს, რომლის ორგანიზებისათვის ესაჭიროებათ დახმარება თანადაფინანსების სახით 5000 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე შესაძლებლობების ფარგლებში ჩართული ვიყავით „მოყვარულთა თასი 2021“ -ის ჩატარებაში, რომელშიც ტრადიციულად, მუნიციპალიტეტში არსებული არაერთი მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა. ოზურგეთის საფეხბურთო გუნდმა „ზვანის სამომ“ დასავლეთ საქართველოს პირველობაში, ნახევარ ფინალში მიიღო		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მოზარდი და ახალგაზრდა ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში	მიღწეული შედეგი	შექმილია პირობები მოზარდებისა და ახალგაზრდის სპორტულ ცხოვრებაში ჩაერთობისთვის	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ბენეფიციართა რაოდენობა	1600	1700	1600	5%	მიმდინარე წელს, სამწუხაროდ, COVID-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, ვერ მოხერხდა წლის გეგმით გათვალისწინებული და ასევე შემზვედრი ღონისძიებების სრულად განხორციელება

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)			კულტურის განვითარების ხელშეწყობა (050201)		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი			განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი			გურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - კულტურული ტურიზმის პოტენციალის პრომოუშენი, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია; კულტურის განვითარების მიმართულებით მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს კულტურული დიპლომატიის განვითარებაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარების მხრივ ქმედითი ნაბიჯები მიმდინარეობს როგორც ღონისძიებების ჩატარების ასევე კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობით - მნიშვნელოვანია კულტურული ტურიზმის პოტენციალის პრომოუშენი, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები) კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმოჩენა როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთაც, საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გამოცდილების გაზიარება-წარმოჩენა. 2021 წელს ორგანიზაციებში ჩატარდა რეპეტიციები და შიდა საანგარიშო კონცერტები, რაც ხელს უწყობს არსებული სფეროს მდგრადობის შენარჩუნებას		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა		მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები გურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	10	15	8	47%	მიმდინარე წელს, სამწუხაროდ, COVID-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, ვერ მოხერხდა წლის გეგმით გათვალისწინებული და ასევე შემხვედრი ღონისძიებების სრულად განხორციელება, სამუშაო შეხვედრების დიდი ნაწილი გაიმართა ონლაინ რეჟიმში
